პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 სექტემბერი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 206 (14506)

ლენინურ ეპოქის პარტიული

მოგება იზრდება

თბილისი. ყველა ჭაჩვენებლით გადაჭარბებით შეასრულა რვა თვის დავალება მაუდ-კაჩვოლის კომბინატის კოლექტივმა. ამ ხნის მანძილზე აქ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს მილიონ 405 ათასი მანეთის პროდუქცია და 200 ათასი მანეთი მოგება მისცეს ქვეყანას.

ახალი ტექნიკის სრულყოფილად ათვისებით, სამუშაო ადგილის მომსახურების ზონის გაზრდით ფეიერებმა გეგმასთან შედარებით 5,7 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება.

ამ დღეებში შეჯამდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის კომბინატში გაშლილი შეჯიბრების რვა თვის შედეგები. პირველობას ინარჩუნებს საქსოფონ წარმოების მოსამზადებელი საამქროს ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც დ. გამყრელიძე ხელმძღვანელობს. („კომუნისტის“ კორ.).

ჩარხებს სასწავლებელი ეწვევა

ქუთაისი. (სა[illegible] სასწავლებელმა, [illegible] საავტომობილო ქარხნისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრებს ამზადებს, სახელი გაითქვა საკუთარი წარმოების მაღალი წარმადობის ჩარხებით.

აქ დამზადებული „ნს-12“ ტიპის საბურღავი და „332-ბ“ ტიპის სალესი ჩარხები ჩვენი ქვეყნის 40 მისამართით, მათ შორის მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში და სხვა ქალაქებში იგზავნება. მარტო მიმდინარე წლის რვა თვეში აქაური მარკით გამოშვებულია 400-ზე მეტი ჩარხი.

სასწავლებლის კოლექტივი, რომელიც აგრეთვე ავტომანქანის ზეთის გამწმენდ ფილტრს, ოკანა და შიდა მოხრეჭის მარეგულირებელ ბერკეტებს უშვებს, გადაჭარბებით ასრულებს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დაკვეთებს.

კომკავშირს — მუდმივი პარტიული ზრუნვა

ყოველი ახალი დღის დაბადება სიხარულით გვამცნობს ჩვენი ახალგაზრდობის ბრწყინვალე გამარჯვებებს, მის მიღწევების დიდი შრომისა და შემოქმედების ფრონტებზე. იგი ვაუკაცურად დგას მარტენის გავარვარებულ ღუმელთან თუ სახარატო დაზგასთან, მკლავმოუღლელად შრომობს მინდვრებსა და პლანტაციებში, სულ უფრო მაღლა ეწევა ახალშენებლობათა ბარაჩოებს, დანავარდობს ზღვაზე და ჰაერში...

და მართლაც არ არის ჩვენი ცხოვრების არცერთი მხარე, მისი არცერთი უბანი, სადაც არ იღვწოდნენ, თავიანთ პატრიოტულ სიტყვას არ ამბობდნენ ჭანსაღი ჭაბუკები და ქალიშვილები — ახალი, ნათელი საზოგადოების აქტიური მშენებლები .

საქართველოს კომკავშირი საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი გმირული ფურცელი, ბევრი შესანიშნავი მიღწევა. და აი კარგ ტრადიციას რომ აგრძელებენ, ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ ახალი წარმატებები მოიპოვონ და ღირსეულად აღნიშნონ მოახლოებული დიდმნიშვნელოვანი თარიღი — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილე.

დიდი იუბილესათვის მზადებას კი თან ახლავს ახალგაზრდობის ბევრი კარგი თაოსნობა, ინიციატივა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ლენინური ორწლედი“ და „ლენინური ჩათვლა“.

ათასობით კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, ათეულ ათასობით კომკავშირელი ეწევა ახლა „ლენინურ შრომითს ვახტს“. თბილისის კომკავშირელთა ინიციატივით მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ მოიპოვონ ლენინური ბრიგადის, ლენინური ცვლის საპატიო სახელი. თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ წინადადება წამოაყენა შემოიღონ ახალგაზრდა მუშების შრომითი დიდების ჩასაფიქრებელი წიგნაკები.

სულ უფრო ფართოვდება საშეფო მუშაობა. ორი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი შრომობს ენგურჰესის დამკვრელურ მშენებლობაზე, რესპუბლიკის კომკავშირი შეფობას უწევს ალაზნის სარწყავ სისტემას, სკოლებისა და სბავშვო ბაღების, ფაბრიკებისა და ქარხნების, ელექტროსადგურების, კულტურის სახლებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

—კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას.

დიახ, ლენინის ანდერძისადმი ერთგული ჩვენი ახალგაზრდობა ყოველთვის მზად არის მიიღოს უფროსი თაობის შრომითი ესტაფეტა, იყოს მუდმივ ძიებაში, რაც შეიძლება მეტი შეეძინოს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამიტომ პარტია ყოველთვის დიდ ზრუნვას იჩენდა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჰქონდეს უნარი დამოუკიდებლად გადაწყვეტოს ის პირველხარისხოვანი სახალხომეურნეობრივი ამოცანები, რომლებსაც ამა თუ იმ მომენტში თვით ცხოვრება აყენებს.

მაგრამ დამოუკიდებლობა როდი ნიშნავს ანარქიასა და უკონტროლობას. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა სწორედ ის არის, რომ მუდამ იყონ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის კურსში, მხარი დაუჭირონ მათს ყოველგვარ სახარგებლო ინიციატივას, ამასთან, თუ შეცდომებია დაშვებული, დაეხმარონ მათს გამოსწორებასა და აღკვეთაში კომკავშირის ძალა ხომ სწორედ პარტიულ ხელმძღვანელობაშია!

როგორც ცნობილია, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, უპირველეს ყოვლისა, ბოროტელდება კომკავშირულ ორგანიზაციებში მომუშავე სკკპ წევრების საშუალებით. კომკავშირულ ორგანიზაციებში ბევრი ახალგაზრდა კომუნისტია, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრი პრაქტიკული მაგალითი შეიძლება დავასახელოთ, თუ რა სიყვარულით, საქმის ცოდნით მუშაობენ სკკპ წევრები კომკავშირულ ორგანიზაციებში. მარტო თბილისში ასეთი კომუნისტებისა რიცხვი ორი ათასს აღემატება. ახალგაზრდა კომუნისტებისა და სკკპ წევრობის კანდიდატებისათვის კომკავშირში მუშაობა ყველგან უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებად უნდა იქცეს.

ამასთან ერთად, პარტიული ორგანიზაციები კომკავშირისადმი ხელმძღვანელობაში ბევრ სახარგებლო ნაცად ფორმასა და მეთოდს იყენებენ. ამოცანა ის არის სულ უფრო სრულყოთ ეს ფორმები და მეთოდები, რომ ისინი მთლიანად შეესაბამებოდეს ახალგაზრდობის პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, გათვალისწინებულ იქნას მუშაობის სპეციფიკა მის სხვადასხვა ჯგუფთან — მუშებთან, კოლმეურნეებთან და ინტელიგენციასთან.

იმაზე, თუ რა დადებითი შედეგი მოსდევს კომუნისტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მისწრაფებას — დროულად დაუჭირონ მხარი ახალგაზრდობის ინიციატივას, ნათლად მეტყველებს ასეთი ფაქტი: თელავის რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა თუმცა წლების მანძილზე გადაჭარბებით ასრულებდა ყურძნის მოსავლიანობის გეგმას, მაგრამ ვენახების გაშენებისათვის საკუთარი ნამყენი არ ყოფნიდა. და აი კომკავშირულმა ორგანიზაციამ (კომიტეტის მდივანი მ. მერაბიშვილი) ახალგაზრდა მენამყენეთა სკოლის დაარსება ითავა, რასაც პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ჯ. გიორგელაშვილი) დირექციასთან ერთად დროულად დაუჭირა მხარი. მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურიდან სპეციალისტებიც მიიწვიეს და მყნობის სეზონისათვის 30 კომკავშირელი მყნობელი ამოუდგა სამყნობ დაზგას. ამის შედეგად ნაფარეულელებმა რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა დაამთავრეს მყნობა და 10 ათასით მეტი ნამყენიც მისცეს მეურნეობას.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების სანტერესო ღონისძიებებს ახორციელებენ თბილისის ელმავალსაამშენებლო და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების ჭითურის ლენინის სახელობის მაღაროს, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტები, რესპუბლიკის სხვა პირველადი პარტორგანიზაციები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა კომუნისტთა კრებებზე, პარტორგანიზაციათა ბიუროების, კომიტეტების სხდომებზე კომკავშირული ცხოვრების სხვადასხვა საკითხების განხილვა. ხშირად ისმენენ და განიხილავენ კომკავშირული კომიტეტების ანგარიშებს, არჩევით კომკავშირულ ორგანოებში კომუნისტების, აგრეთვე კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში პროპაგანდისტთა მუშაობის ინფორმაციებს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კარგია მაგრამ საჭიროა ასეთი აქტუალური საკითხების განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების უთუო შესრულება. ზოგჯერ კი ხდება ასე: საკითხი განხილეს, კარგი გადაწყვეტილებაც მიიღეს, მაგრამ მისი შესრულებისათვის აღარ იზრუნეს. აი რატომ არის, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში ხიზანტე და უინიციატივობაა, არა ჩანს პარტიული ხელმძღვანელობის ძალა.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში წესად იქცა, რომ მდივანი ან რომელიმე პარტიული აქტივისტი მონაწილეობს კომკავშირული ორგანოს სხდომის მუშაობაში, ესწრება კომკავშირულ კრებებს. ასეთი პრაქტიკა ცუდი როდია, უფროსი ამხანაგის დახმარებით კომკავშირელები ადვილად გაერკვევიან ამა თუ იმ რთულ საქმეში. მაგრამ ცუდი ის არის, როცა მხოლოდ ამით ამოსწურავენ ხოლმე კომკავშირისადმი დახმარების მთელ ამოცანას.

პარტიული მუშაობა ვერ ითმენს ფორმალიზმს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეს კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას ეხება. საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ ეს ხელმძღვანელობა იყოს უფრო მოქნილი, აქტიურად იქნას გამოყენებული ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მრავალმხრივი ფორმები. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მეტად კარგ შედეგს იძლევა ერთობლივი პარტიულ-კომკავშირული კრებების გამართვა, ახალგაზრდების დასწრება ღია პარტიულ კრებებზე, რომლებიც მათთვის კომუნისტური პრინციპულობისა და საქმიანობის თვალსაჩინო გაკვეთილად გადაიქცევა.

ამჟამად რესპუბლიკის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ნოემბერსა და დეკემბერში გაიმართება სოფლებში, საქალაქო და რაიონული კონფერენციები. ეს კამპანია მნიშვნელოვანი მოვლენაა კომკავშირელთა ცხოვრებაში. ანგარიშებმა-არჩევნებმა ხომ ბევრი რამ უნდა გამოავლინოს და საუბარაზე გამოიტანოს, თვითეულ ახალგაზრდას როგორც სარკეში ისე დაანახვოს საკუთარი ორგანიზაციის ავი და კარგი, აი რატომ არის, რომ კომკავშირული კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში პარტიული ამხანაგების მონაწილეობას, მათს პრაქტიკულ რჩევასა და დახმარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილებიდან — „კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა „კომუნისტის“ 31 აგვისტოს ნომერში, სათანადო დასკვნები უნდა გაკეთოს რესპუბლიკის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანოებმა.

ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვა, მისი აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულებით საერთაპარტიული საქმეა. სწორედ პარტიული ხელმძღვანელობა აძლევს ჩვენს კომკავშირს უდიდეს ძალასა და ენერგიას, რომ მან სულ ახალი და ახალი სასწაულები მოახდინოს.

ხ ო შ ი მ ი ნ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს, რომ 1969 წლის 3 სექტემბერს ჰანოიში გულის მძიმე შეტევის შედეგად 79 წლის ასაკში გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი ამხანაგი ხო ში მინი.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივ კომიტეტს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას

ქ. ჰანოი

გარდაიცვალა ამხანაგი ხო ში მინი

ჰანოი, 4 სექტემბერი. (საქდესი). დღეს დილით გამოქვეყნდა სპეციალური კომუნიკე ამხანაგ ხო ში მინის გარდაცვალების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია:

„ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამინისტროთა საბჭო და ვიეტნამის სამშვიდობო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ მთელ ჩვენს პარტიასა და მთელ ვიეტნამელ ხალხს, რომ ამხანაგი ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა 1969 წლის 3 სექტემბერს 9 საათსა და 47 წუთზე გულის უეცარი მძიმე შეტევის შედეგად.

პრეზიდენტ ხო ში მინის მთელი ავადმყოფობის მანძილზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები, დღედაღამ მასთან იყვნენ და მაღალკვალიფიციური პროფესორებისა და ექიმების კოლექტივს, რომელთაც ხელთ ჰქონდათ ყოველივე საჭირო, მიაღწიეს გამოჯანმრთელებისთვის ყველა საშუალება მის განსაკურნავად. ყველაფერი იღონეს, რომ განეკურნათ პრეზიდენტი ხო ში მინი, მაგრამ ხანდაზმულობისა და სერიოზული ავადმყოფობის გამო მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

პრეზიდენტი ხო ში მინი იყო ჩვენი ვიეტნამის მუშათა კლასისა და მთელი ქვეყნის გამოჩენილი, უაღრესად საყვარელი ბელადი. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა რევოლუციის, ხალხის, სამშობლოსადმი ერთგულ სამსახურს. მან დააარსა ინდოჩინეთის კომუნისტური პარტია, ახლა ვიეტნამის მშრომელთა პარტია, დაარსა ეროვნული გაერთიანებული ფრონტი და ვიეტნამის სახალხო არმია, მოაწყო აგვისტოს რევოლუცია, გამარჯვებამდე მიიყვანა იგი და შექმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. წარსულში იგი მეთაურობდა ჩვენს ხალხს ფრანგი კოლონიზატორებისადმი წინააღმდეგობის ომში, ახლა კი გვხელმძღვანელობდა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისადმი წინააღმდეგობის ომში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის. ჩრდილოეთის დაცვისა და ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების გზით წინსვლისათვის. მისი ხელმძღვანელობით მოპოვებულ იქნა სახელოვანი გამარჯვებანი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

პრეზიდენტი ხო ში მინი იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მტკიცე, გამოჩენილი მებრძოლი და მსოფლიოს იმ ქვეყნების ახლო მეგობარი, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

50-ზე მეტი წლის განმავლობაში პრეზიდენტ ხო ში მინის სახელი, თვალსაჩინო პირადი თვისებები და რევოლუციური სულისკვეთება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვიეტნამელი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლასთან. მისი სიცოცხლე უმძიმესი დანაკარგია ჩვენი პარტიისა და ხალხისათვის.

ჩვენი გლოვისა და პრეზიდენტ ხო ში მინისადმი ჩვენი მადლიერების ნიშნად ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ეროვნული კრების მუდმივმა კომიტეტმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურ გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებანი.

1. მოეწყოს პრეზიდენტ ხო ში მინის სახელმწიფო დაკრძალვა ჩვენი ქვეყნის საყოველთაო გლოვის ცერემონიალით.

2. მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალები და ვიეტნამელი ხალხი პრეზიდენტ ხო ში მინს იგლოვებენ შვიდი დღის განმავლობაში 1969 წლის 4 სექტემბრიდან 10 სექტემბრამდე.

3. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტი, მინისტრთა საბჭო და ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამ დღეებში ჩვენს პარტიას, შეიარაღებულ ძალებსა და ხალხს მოუწოდებენ ეს გლოვა გადააქციონ რევოლუციურ სამეგობროდ, ინტერნაციონალურ სოლიდარობად და. მთელი ჩვენი ნებისყოფა და ძალები მოახმარონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესორებზე გამარჯვებისათვის, ჩვენი ქვეყნის სამხრეთის განთავისუფლებისა და ჩრდილოეთში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის ბრძოლის დიად საქმეს. და ამრიგად ხორცი შეასხან პრეზიდენტ ხო ში მინის ნათელ ოცნებას მშვიდობისმოყვარეს, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, აყვავებული და ძლიერი ვიეტნამის აშენებაზე.

დიდი პრეზიდენტის ხო ში მინის სახელი და სულისკვეთება მარად იცოცხლებს ჩვენს გულში. მის რევოლუციურ საქმეს ეშენებულად განვაგრძობთ და სრული გამარჯვებით დავაგვირგვინებთ“.

გ. დ. ჯავახიშვილმა დაათვალიერა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა თბილისში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა** 4 სექტემბერს დაათვალიერა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინჟინრო და გამოსათვლელი მანქანების გამოფენა თბილისში. მასთან ერთად იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. შ. მიქელაძე** და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი **გ. დ. ეორგიაშვილი.** გამოფენა მოაწყო ბერლინის საგარეო ვაჭრობის საწარმომ „ბიურომაშინენექსპორტმა“ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სავაჭრო პალატების ხელშეწყობით და დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავთან.

გ. დ. ჯავახიშვილმა გამოფენის დირექტორის **ვერნერ ბლეშეს** თანხლებით დაათვალიერა დიდი წარმადობის ექსპონირებული თანამედროვე საკანცელარიო მანქანები და ინფორმაციის დასამუშავებელი მანქანები. საბჭთა კავშირის სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი როლი ეკუნებენ ასეთ მანქანებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სსრ კავშირს აწვდის გამოსათვლელი და საანგარიშო მანქანების მთელი ექსპორტის მესამედზე მეტს. მოძმე ქვეყნის მრეწველობის ამ დარგში დასაქმებულია 40 ათასი მშრომელი.

გ. დ. ჯავახიშვილის ყურადღება მიიპყრო საანგარიშო ავტომატმა „ზემტრონ-382“-მა, რომლის გამოყენება ფრიად ეფექტიანად შეიძლება სამმართველოს შრომის რაციონალიზაციისათვის, ორგანიზაციულმა ავტომატმა „ოტტომამ“, რომელიც შეუცვლელია ყველა დარგში, სადაც მუშაკები წვრილს სამუშაოებს ასრულებენ, 220-ე ელექტრონულმა მაგიდის საანგარიშო ავტომატმა „ზემტრონმა“, რომელიც მთლიანად ტრანზისტორებით არის დამზადებული. „ზემტრონი“ თავის მოვალეობას ასრულებს ბევრი ამოცანის გადაწყვეტისას მეცნიერებასა და ტექნიკაში, სადაც დღემდე ლოგარითმეულ სახაზეებსა და სხვა საანგარიშო ხელსაწყოებს იყენებდნენ. საანგარიშო ავტომატები ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და რესპუბლიკურ უწყებათა წინადადებით აღჭურვილი არიან ქართული შრიფტით. გამოფენაზე ექსპონირებული გამოსათვლელი მანქანები და ორგანიზაციული ტექნიკა შესყიდულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანტორო და გამოსათვლელი მანქანების მრეწველობამ დიდ ტექნიკურ პროგრესს მიაღწია. მან აღნიშნა მანქანების კარგი, ლამაზი, ნატიფი გარეგნობა.

გ. დ. ჯავახიშვილმა თქვა, რომ ეს გამოფენა საქართველოს სს რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკას შორის განვითარებადი მეგობრული ურთიერთობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. შეეხო რა სულ უფრო მტკიცე ძმურ ურთიერთობას, მან თქვა, თუ რა წარმატებით ჩაიარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებმა საქართველოში, თუ რა აქტიურად ემზადება რესპუბლიკის საზოგადოება საქართველოს კულტურის დღეებისათვის, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს.

დასასრულ **გ. დ. ჯავახიშვილმა** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო საწარმოთა მუშებსა და სპეციალისტებს უსურვა ახალი დიდი შრომითი წარმატებანი, პირველობა კონკურენციაში მსოფლიო ბაზარზე.

გამოფენის დირექტორმა **ვერნერ ბლეშემ** გულთბილი მადლობა გადაუხადა საქართველოს ორგანიზაციებსა და უწყებებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტექნიკური აზრის მიღწევათა დემონსტრაციას. მან ბოდიშიც გამოთქვა, რომ გამოფენის მუშაობის დღეებში საქართველოს კონტაქტები იყო დამყარებული ქართველ სპეციალისტებთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენის დათვალიერებას ესწრებოდა საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეობის შემსრულებელი **ლ. ა. რუხაძე.** (საქდესი).

საკლესიო ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-297“

1969 წლის 2 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-297“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 87,7 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 334 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 211 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა —72,9 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი

4 სექტემბერს მოსკოვში როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი ჩამოვიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი კიიტი აიტი.

აეროდრომზე კიიტი აიტიმ გააეთა განცხადება რომელშიც მიესალმა მოსკოველ მეცხოვრებლებს და მოელ საბჭოთა ხალხს. მან იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგება უფრო გაღრმავდება.

დიდი სიხარულით შემიძლია აღვნიშნო, თქვა მინისტრმა, რომ ამ ბოლო წლებში იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ეკონომიზობლური ურთიერთობის განვითარებას კვლობაზე თანდათან გადაიჭრა და ყველაც გადაიჭრება ჩვენი ქვეყნებისათვის საინტერესო საკითხები. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს შენობაზე გლოვის ხიშნად დახრილია სახელმწიფო ალმი.

17 საათზე საელჩოში მოვიდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი** ა. ი. **ვორონოვი,** ა. ნ. **კოსიგინი,** კ. ტ. **მაზუროვი,** ნ. ვ. **პოდგორნი,** დ. ს. **პოლიანსკი,** მ. ა. **სუსლოვი,** ა. ნ. **შელეპინი,** ი. ვ. **ანდროპოვი,** პ. ნ. **დემიჩევი,** დ. თ. **უსტინოვი,** ი. ვ. **კაბანოვი,** კ. ო. **კატუშევი,** თ. დ. **კულაკოვი,** მ. ს. **სოლომონცევი.** მათთან ერთად იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. **კუზნეცოვი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მათ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს სსრ კავშირში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს

ნგუენ ტიენ თონგს, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში **დანგ კუანგ მინს** და საელჩოთა თანამშრომლებს საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, საბჭოთა კავშირის, მთელი მსოფლიოს კომუნისტებსა და პროგრესულ ადამიანებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ ამხანაგ ხო ში მინის დაუცხრომელ მეცადინეობას ვიეტნამის მშრომელთა პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირში სამუდამოდ დაიცავენ მის, როგორც მტკიცე მარქსისტ-ლენინელის, ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობრის ნათელ ხსოვნას.

გამოვთქვამთ რა ღრმა სამძიმარს ამ მძიმე დანაკლისის გამო, დარწმუნებული ვართ, რომ ვიეტნამის მშრომელთა პარტია, მთელი ვიეტნამელი ხალხი მტკიცედ შეასრულებენ ამხანაგ ხო ში მინის ანდერძს იბრძოლონ სოციალიზმის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შეუდრეკლად დაიცავნ ვიეტნამის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და პროგრესის საქმე, განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობა, სოციალისტური თანამეგობრობისა და მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძაობის შეკავშირება. ამ საქმეში ვიეტნამელ კომუნისტებს, ვიეტნამელ ხალხს შეუძლიათ მუდამ იქონონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ყველა საბჭოთა ადამიანის სრული მხარდაჭერის იმედი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვი, კრემლი. 1969 წლის 4 სექტემბერი.

პარტიული ქრონიკა

კომუნისტის პრინციპი

სწორედ ასეთი საკითხი განიხილეს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შასის საამქროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მორიგ კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

აღნიშნული კრება ერთგვაროი გაგრძელებაა იყო გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე გამართული მსჯელობისა „იცით თუ არა თქვენ წესდება?". კრებას, რომელიც მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტთა დიდი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ აგრეთვე ქალაქის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა პარტიული კომიტეტებისა და პარტბიუროების მდივნები, პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკები, ეკონომისტები.

მოხსენებით საკითხზე „კომუნისტის პრინციპი" გამოვიდა საამქროს პარტბიუროს მდივანი ვ. გაბუნია.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ კომუნისტები — საამქროს პირველი სერიული უბნის პარტჯგუფორგანიზატორი ჯ. ტუსკაძე, მეორე სერიული უბნის მბურღავი ი. ფოცხვერაშვილი, სექციონერი - გამმართველი თ. ბალანჩიავაძე, ბილანების უბნის უფროსი ოსტატი ჯ. გოჩელაშვილი, სექციონერი-გამმართველი რ. მესხენგისერი, საამქროს უფროსი ა. ნუკუბიძე და სხვები.

კრებაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა კომუნისტების პრინციპიულობის, მათი აქტივობის ამაღლებაზე, იმაზე, თუ როგორ იცავენ საამქროს კომუნისტები პარტიის საწესდებო მოთხოვნებს. კრების მონაწილეებმა გაბედულად ამხილეს ცალკეული კომუნისტთა მხრივ უპრინციპობის, ურთიერთმამამებლობის, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობის შენელების ფაქტები და წამოაყენეს საჭიროები წინადადებანი კოლექტივის საერთო საქმეებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლებისათვის.

კრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ბოჭოიძემ.

ზ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მაღალი მოვალეობა

ცხინვალი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ბიურომ თავის მორიგ სხდომაზე იმსჯელა შემოქმედებითი ორგანიზაციების — კ. ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის, სახელმწიფო ანსამბლ „სიმდის", სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

ბიუროზე აღინიშნა, რომ წარმატებებთან ერთად, რაც ამ ორგანიზაციებმა და იქ მომუშავე კომუნისტებმა უკანასკნელ ხანს მოიპოვეს, არის სერიოზული ნაკლოვანებებიც: დაბალ დონეზეა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, მიზანსწრაფული არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა. ზოგჯერ კომუნისტები ერიგდებიან სპეკტაკლების, საკეკვიო ნომრების, ცალკეული ქორეოგრაფიული დადგმების დაბალ იდეურ და მხატვრულ დონეს. მწერალთა კავშირისა და სახელმწიფო მუზეუმის მუშაკთა საქმიანობაში არა ჩანს ჯანსაღი კრიტიკა.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი გამოვლინებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიული მუშაკები სწავლობენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა გამართა პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი.

საქალაქო კომიტეტის სექტორის გამგე ბ. ციცვაძე გამოვიდა მოხსენებით — „პარტიული მეურნეობის მდგომარეობა". ახალი ითხოვისის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. კაპანაძემ გააშუქა პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის გამოცდილება. პარტიული ჯგუფების მუშაობის პრაქტიკაზე ისაუბრა მერძეკვრობა-მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა შ. კაპანაძემ, ხოლო პარტიული ინფორმაციის შესახებ — საქალაქო კომიტეტის ინფორმაციის შტატგარეშე განყოფილების გამგემ ჯ. ფხალაძემ.

თათბირ-სემინარი

საბარეთი. პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გაიმართა პოლიტინფორმატორთა რაიონული თათბირ-სემინარი, მოხსენებით — „სოციალიზმის იდეოლოგიური ბრძოლა იმპერიალიზმთან თანამედროვე ეტაპზე" — გამოვიდა პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანი გ. ზვიადაძე.

მოხსენება თემაზე — „სრულყოფთ პოლიტიკური ინფორმაციის შინაარსი, ფორმები და მეთოდები" — გააკეთა პარტიის საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ბ. ელერდაშვილმა, ხოლო „ლენინური იდეების პროპაგანდაში პოლიტინფორმატორთა ამოცანების შესახებ" — რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტის გამგემ მ. ტაველიშვილმა.

დამსწრეთ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს პოლიტინფორმატორებმა.

რ. ლაფაჩიშვილი,
საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორი.

ინიციატორებთან

ლიხაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მძლავრი მეურნეობაა მახარაძის რაიონში. იგი გაშენებულია მთის ანკარა მდინარის „აჭისწყლის" ორივე სანაპიროზე. და, როგორც იტყვიან, ძვირფასი თვალმარგალიტივით ჩამჯდარა ჩაის, ციტრუსების პლანტაციებში, ხეხილის ბაღებში.

ვინც ამ რამდენიმე წლის წინათ ყოფილა ლიხაურში, ახლა ვეღარ იცნობს. აღორძინებულა სოფლის ცენტრს ამშენებენს საშუალო სკოლის 3-სართულიანი შენობა, კოლმეურნეობის ორსართულიანი კანტორა, სოფლის მაღაზია და სხვა დაწესებულებანი. ლიხაურის ცენტრი პატარა ქალაქს ჰგავს.

შედარებულად ცხოვრობენ ლიხაურელი კოლმეურნეები. მათს სიმდიდრეს განაპირობებს ჩაის პლანტაციები, რომლებსაც 288 ჰექტარი უჭირავს. ლიხაურელები ყოველწლობით ჩაის სარეკორდო მოსავალს იღებენ. წელსაც სასახელოდ გაანაღდეს დავალება. წლიური გეგმით ვალდებულნენებული 1.190 ტონის ნაცვლად 3 სექტემბრისათვის მოკრეფეს და მრეწველობას ჩაბარეს 1.225 ტონა ჩაის ნედლეული. სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრეფენ 150 ტონას.

შეტი ჩაისათვის ლაშქრობაში მეჩაიეების მხარში უდგანან კოლმეურნე მექანიზატორები. გადაუჭარბებელად შეიძლება ითქვას, რომ ლიხაურელები რაიონში ერთი პირველთაგანნი არიან, რომლებმაც გაბედულად დაიწყეს ჩაის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვა.

— ყველასათვის ნათელია, რომ ჩაის კულტურა დიდ შრომითს რეზერვებს მოითხოვს, — გვეუბნება ლიხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბროსი გორდელაძე. მართალია, ზაფხულში დიდი ჯაფა გვჭირდება ფოთლის კრეფაზე, მაგრამ შემოდგომა-ზამთის სამუშაოები ნაკლებ საპასუხისმგებლო რომია. თუ კარგად არ დავამუშავეთ პლანტაციები, უხვ მოსავალსაც ვერ მივიღებთ. ისე რომ წელიწადის ყველა დროში დატვირთული არიან ჩვენი მეჩაიეები. ამიტომაც, იყო, რომ დავიწყეთ ჩაის პლანტაციების მექანიზებული დამუშავება, ფოთლის კრეფა. ამით შრომა დიდად შეგუმსუბუქეთ მეჩაიეებს, შრომის დანახარჯებიც შეგამცირეთ. მაგალითად, ერთი მექანარი ჩაის პლანტაციის გასხვლას ხელით მუშაობის დროს 82 კაცდღე სჭირდება, იხარჯება 96 მანეთი, ხოლო იგივე სამუშაო მექანიზაციით 16 მანეთი გვიჯდება, ესე იგი ექვსჯერ ნაკლებია! ჩაის ფოთლის ხელით კრეფის დროს ცენტნერი ნედლეულის დამზადება 28 მანეთი გვიჯდება, ხოლო მანქანა „საქართველოთი" კრეფისას — 8 მანეთი.

მომდინარე წლის თებერვალში საუკეთესო თაოსნობა გამოიჩინეს ლიხაურელმა მექანიზატორებმა. რაიონის „კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს მათ მოწოდებით მიმართეს, რომ სრული წარმადობით გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აამაღლონ მექანიზაციის დონე ჩაის მეურნეობაში.

ინიციატორებმა მთელი რიგი ვალდებულებები რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშაში" გამოქვეყნდა, ლიხაურელებმა ნაკისრი ვალდებულებანი სასახელოდ შეასრულეს.

როცა ლიხაურელ მექანიზატორთა სანაქებო საქმეებს იცნობით, გაკვირვებ, თუ რა შეიძლება ტექნიკის გონივრულად გამოყენებას, მის გაბედულად. მტაციად დანერგვას. ჯერჯერობით აქაურმა მექანიზატორებმა ჩაის პლანტაციების სრული მექანიზაცია განახორციელეს 33 ჰექტარზე. ბუჩქთა შორის კულტივაცია, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქების შეტანა, ბუჩქების გასხვლა, შეწამვლა, ფუმიგაცია, ფოთლის კრეფა მანქანებით სრულდება.

მექანიზატორებს ნაკისრი ჰქონდათ „საქართველოთი" მოკრეფეთ 80 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ფაქტიურად დღემდე მოკრეფილი აქვთ 88 ტონაზე მეტი.

ჩვენს წინაშეა შავგვრემანი, ბრგე ახალგაზრდა ზაურ ურუშაძე. ეს გახლავთ ლიხაურელთა მამაცი მექანიზატორი და კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელი. ის იყო პირველი მერცალი, რომელმაც 1963 წლის ზაფხულში ჩაის პლანტაციაში აადგეგნა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო".

მას შემდეგ 6 წელი გავიდა. ლიხაურელ მეჩაიეთა ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ფოთლის მანქანით კრეფა.

ახლა ლიხაურში 4 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" მუშაობს. აქ კომპლექსური მექანიზაციის ორი რგოლია. ერთ რგოლს ზ. ურუშაძის ძმა შ. ურუშაძე ხელმძღვანელობს, ძმები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

— რა დასამალავია, ჩემი უფროსი ძმა ცოტაი მჯობნის, — ამბობს შ. ურუშაძე. მის რგოლს 45 ტონა ფოთოლი აქვს მოკრეფილი, ჩემმა რგოლმა კი 43 ტონა ნედლეული მოკრიფა, პირადად მე 24 ტონა ფოთოლი მოვკრიფე, ზაურმა — 27 ტონა. არც მეკვიდრს. მან შეშესწავლა „საქართველოს" ტარება, მასზე მუშაობის ტექნიკა. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს.

საუკეთესო შედეგები აქვთ აგრეთვე მოწინავე მექანიზატორებს ნოდარ ციცხლაძეს, ავთანდილ ლასაძეს, რომლებიც მანქანით ფოთლის კრეფის დღიურ ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ. კოლმეურნეობაში მექანიზატორთა გამართულ მუშობას სათავეში უდგას ინჟინერ-მექანიზატორი შ. სალუქვაძე.

ლიხაურელ მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ კიდევ მოკრიფონ სულ მცირე 10 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. შემდეგ კი შეუდგებიან ჩაის პლანტაციების საშემოდგომო სამუშაოებს.

ვალდებულების აღება კარგი საქმეა, მისი სახელოვნად განადღება კიდევ უკეთესი. ეს შეეძება ნამდვილად დაამსახურეს ლიხაურელმა მექანიზატორებმა. მათი მუშაობა მისაბაძია.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ლიხაურის კოლმეურნეობის მექანიზატორი ზ. ურუშაძე მუშაობის დროს.

ფოტო ბ. ბიორგაძისა.

ფართო აქჯივზე დაყრდნობით

„სოციალისტური რუსთავი" 25 წლისაა

„СОЦИАЛИСТИЧЕСКИЙ РУСТАВИ"

რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი — ახე მოიხსენიებს ჩვენი დროის მემატიანე ინდუსტრიულ რუსთავს, რომელიც ძველ, მტერთაგან გაპარტახებულ ნაქალაქარზე უმოკლეს ვადაში დაიბადა და მძლავრ სამრეწველო კერად აღორძინდა.

წინმსწრაფი, ჩვენი ცხოვრების ზეაღმავალ დინებას შეგუებული ფონ მინნე თავისას აკეთებს, და აი, რუსთავიც გამოვიდა სიჭაბუკის ასაკიდან, რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდის ტიტულიც საქართველოს სხვა ქალაქებს დაუთმო, ვაჟკაცობის ასაკში გადაინაცვლა, სასპარეზო გაიმრავლა და თავისი ფოლადის ძალა ბურჯივით შეუფენა სამშობლოს.

ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენი ქალაქის გაზეთს „სოციალისტურ რუსთავს" მიმდინარე წლის 30 აგვისტოს გამოსვლიდან 25 წლისთავი შეუსრულდა. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ამ თარიღს აღნიშნავ ემოხვევა ვ. ი. ლენინის დიდი იუბილესათვის მზადების ღირსშესანიშნავ პერიოდს.

ხაქალაქო გაზეთი სამნახევარი წლით უფროსია თვით რუსთავზე, რომელსაც ქალაქის სახელწოდება 1948 წლის დასაწყისში მიეკუთვნა, და „სოციალისტურ რუსთავს" — ინდუსტრიული ცენტრის ზღაპრული აღორძინების ამ მემატიანეს — გულით ახარებს თავისი ქალაქის გოლიათური ნაბიჯებით ზინსკლა, მეტალურგებისა და ქიმიკოსთა ქალაქად მისი გადაქცევა.

რუსთავთან ერთად იზრდებოდა ხაქალაქო გაზეთიც. თუ თავდაპირველად იგი კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდიოდა და მცირე ტირაჟით ორ გვერდზე იბეჭდებოდა, ამჟამად კვირაში ხუთჯერ ოთ გვერდზე გამოდის, პირველ-დელზე მეტი ტირაჟით, რამაც მომდინარე წლის დამდეგისათვის ათი ათასს მიაღწია.

გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში" თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიის ორ ასეულზე მეტი აქტიური ხაზოგადოებრივი კორესპონდენტი, ხაწარმო-დაწესებულებათა ხაგუშაგოების წევრები. მათ შორის მკითხველებისათვის საკმაოდ არიან ცნობილნი ა. განჯელაშვილი, ვ. ცინცაძე, გ. მეხნი, მ. ფაშურიშვილი, გ. ლომსაძე, მ. მაკალსკი, ვ. ბეგლარიანი და სხვები.

მომდინარე წლის განვლილ პერიოდში გაზეთის რედაქციამ ხაზოგადოებრივი კორესპონდენტებისა და მკითხველებისაგან გაცილებით მეტი წერილი მიიღო, ვიდრე წინა წლებში. მშრომელთა ამ წერილებში მოთხრობილია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის დიდ მზადებაზე, ადამიანთა პატრიოტულ თაოსნობაზე, წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვაზე, დეპუტატთა საქმიანობაზე, პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური, აღმშენელობითი მუშაობის, სახალხო კონტროლიორთა მოღვაწეობის, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მთელ რიგ ცხოვრებისეულ აქტუალურ საკითხებზე.

გაზეთის ფურცლებზე წამყვანი ადგილი უჭირავს ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ამსახველ მასალებს. ამ თემაზე მრავალი საინტერესო თემატური გვერდი, განყოფილება და სტატია გამოქვეყნდა. დიდ იუბილეზედ დარჩენილ პერიოდში გაცილებით მეტის კეთებას ვითვალისწინებთ.

დაარსების 25 წლისთავთან და მე-5.000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთ „სოციალისტური რუსთავის" დაჯილდოებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ჩვენი რედაქციის კოლექტივი, საზოგადოებრივი კორესპონდენტები და მრავალრიცხოვანი მკითხველები დიდად აღფრთოვანა და შემოქმედებით მუშაობაში უკეთესი შედეგებით მოპოვებისათვის დარაზმა.

გ. გელაშვილი,
გაზეთ „სოციალისტური რუსთავის" რედაქტორი.

ღვინის დაყენება ხელოვნებაა

მეცნიერის რჩევა

ქართველმა კაცმა ვაზსა და ღვინოში ჩააქსოვა თავისი შინაგანი ბუნება და შემოქმედებითი უნარის ცხოველმყოფი ენერგია. ამიტომაც იქცა ვაზისა და ღვინის ხელოვნება ჩვენი ერის სულიერი კულტურის დიდ საგანძურად.

ოდითგანვე მოიხვეჭეს სახელი ქართული ვაზის ჯიშებმა. რა ჯიშის ყურძენს არ შეხვდებით საქართველოში: საღვინეს, საკონიაკეს, სამაგიდოს, საქმელს, საჩამიჩეს, სამურაბეს, საპაჯეს, სამწნილეს, ადრეულს, საგვიანოს, უხვმოსავლიანს, გამძლეს და სხვ.

საუკუნეთანი ტრადიციები უდევს საფუძვლად ჩვენი ვაზის ღვინის ქებათა-ქებას და დიდ საერთაშორისო პრესტიჟს. დიდი ტრადიციების უქონლად ვერ შეიქმნებოდა ისეთი ძლავრი ბაზა, როგორიც ჰქონდა და აქვს საქართველოს.

ქართული ღვინის დიდება დაიბადა მრავალი საუკუნის წინათ, თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანები, ქართველი მეღვინეები ქმნიდნენ შესანიშნავ გემოს, ნაზი არომატისა და ბუკეტის, მრავალნაირი შეფერილობის ღვინოებს.

იტალიის სოფლის მეურეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ჯოვანი დალმასო წერს, რომ ღვინის წარმოება საქართველოში ფეოდალურ ეპოქაზე ადრეულია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იგი არაფრით არ ჩამოუვარდება დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს. უფრო მეტიც: მარნები — წინანდალი, ვარციხე, გუდაუთა, ახმეტა, გურჯაანი, მუხრანი, ზესტაფონი, ნაფარეული, ყვარელი წარმოადგენენ კეთილმოწყობილ სიმდიდრეს, რომლებსაც ჩვენ არცთუ ისე მიჩვეული ვართო.

ღვინის დამზადების ქართულმა წესმა, რომელიც დიდად განსხვავდება ევროპულისაგან, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რასაც ბევრჯერ ამბობდნენ, რომ ეს ქვეყანა წარსულშიც მაღალი ბერის ღვინოებით იყო განთქმული და მომავალშიც ამ პროგრესული საქმის დამბოლოებელია. ღვინის დაყენების ხელოვნება მოწმობს ერის შინაგანი სულიერი კულტურის მაღალ დონეს, ვინაიდან ადამიანი ღვინოში აქსოვს თავის შესაძლებლობას, უნარს, გემოვნებასა და ამ კულტურული ტრადიციების მონაპოვარს, რაც მის ერს საუკუნეების მანძილზე შემოუნახავს.

ქართული ყურძნის ღვინოები, სამკურნალო ზემოქმედებასაც ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე, კარგად მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას, შეიცავენ მასაზრდოებელ ნივთიერებებს და აქვთ მაღალი დიეტური თვისებები. ცხადია, უნდა დავიცვათ მათი მიღების წესები და ზომიერება.

საქართველოს მეღვინეობის პროდუქცია შეტად მრავალფეროვანია, თვითეულ მიკრორაიონში ამ პროდუქციას თავისი სპეციფიკური თვისებები აქვს, რაც დამოკიდებულია ყურძნის ჯიშსა და ხარისხზე, ნიადაგსა და კლიმატურ პირობებზე, აგრეთვე ღვინის დამზადების წესებზე. ამ პირობების შეხამება უზრუნველყოფს ქართული ყურძნის ღვინოების მაღალ ხარისხს.

კარგ ღვინოს, როგორც ადამიანს თავისი სამშობლო აქვს, მშობლიური ადგილების სურნელება მასში სამუდამოდ ინახება. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის შედეგად იზრდება ღვინოზე მოთხოვნილებაც. ამასთან დაკავშირებით მაღალი ტემპით ვითარდება მეღვინეობის მრეწველობა.

უახლესი წლებისათვის საქართველოში გამომვებელი იქნება 32,4 მილიონი დეკალიტრი ღვინომასალა. მათ შორის 3,5 მილიონი დეკალიტრი სამარკო ღვინოებს: ყურძნის ღვინოებს წარმოება მიაღწევს 16 მილიონ დეკალიტრს, მათ რიცხვში მშრალი ღვინოების წარმოება — 8 მილიონ დეკალიტრს, ნახევრად მტკბოსი—700 ათას დეკალიტრს, კონიაკებისა — 1,2 მილიონ დეკალიტრს, შამპანურისა 15 მილიონ ბოთლს. ყურძნის ღვინოებისა და კონიაკების წარმოების ასეთი ზრდა მოითხოვს საწარმოო ძალების ზრდას.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის დაჟანგვის, ანუ ოქსიდაციის პროგრესული მეთოდების დანერგვას, რაც გამოიხატება ... ღვინონმასალის სითბო-სიცივ... ... ბეგებით. ბენტონიტოვან... ... ხების გამოყენებით, ღვინის ფილტრაციის დროს დიატომიტური ფხვნილების გამოყენებით და სხვ.

რთველი კარზეა მომდგარი. ქართველ მევენახე-მეღვინის წინაშე დიდი ამოცანები დგას. უნდა გაწარმოოთ ქართული ღვინო არა მარტო დიდი ოდენობით, არამედ უმაღლესი ხარისხისაც. საჭიროა მეღვინემ ერთის მხრივ გაითვალისწინოს დასამუშავებელი მასალის კონკრეტული ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მეორე მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე გამოავლინოს რესპუბლიკის მდიდარი რესურსების ყოველმხრივი და რაციონალური გამოყენების ყველა პოტენციური შესაძლებლობანი.

ღვინის ხარისხის გადამწყვეტ ფაქტორად მიჩნეულია ყურძნის ჯიში. ღვინის ხარისხთან დაკავშირებით ყურძნის ჯიში უნდა განვიხილოთ არა აგრონომიული, არამედ ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს წარმართული არა მარტო „ჯიშური აგროტექნიკის" თვალსაზრისით, არამედ „ღვინის ტიპის" აგროტექნიკის თვალსაზრისით. გახბორციელებული ღონისძიებანი უნდა ემსახურებოდეს არა მარტო ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებას საერთოდ, არამედ მის შესაბამისობას ღვინის ტიპისადმი, იმას, რაც საჭიროა ღვინომასალისათვის.

ნედლეულისაგან ღვინის ხარისხის საფუძველი ნუნდა შეექმნათ ვენახში, აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესაბამისად ყურძნის ჯიშსა და ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან ურთიერთ კავშირში. მხოლოდ ამ მიდგომით შეიძლება მოგვცეს ჩვენი სამრეწველო ვაზის ჯიშების ასორტიმენტმა ის ძვირფასი, რაც მოცემულია ჯიშში, რაც უზრუნველყოფილია ბუნებრივი პირობებით. ღვინის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული რთველის დროულად და ხარისხოვნად ჩატარებაზე.

ყურძნის უთანაბრო დამწიფების შემთხვევაში რთველი შერჩევით უნდა ჩავატაროთ, დაზიანებული ყურძენი ცალკე უნდა მოკრიფოთ. როდესაც დაზიანებული ყურძნის მტევნის რაოდენობა მცირეა, დახარისხება სასურველია მტევნის აპრის დროს წარმოებდეს. სიდამპლით, ყურძნის ჭიით ან ნაცრით დაზიანებული ყურძნისაგან დაბალი ხარისხის ღვინოები დგება. მოკრეფილი ყურძენი სწრაფად უნდა გადავატანოთ მარანში, დაავადებული ყურძნის მთელი ღამით დატოვება და მისი შემდგომი გადამუშავება ყოველად შეიწყნარებელია, მკვეთრად უნდა გაიმჯობესდეს ყურძნის ტრანსპორტირების, გადამუშავების, ღვინის დაყენების, მოვლის წესები და ვადები. კარგი ხარისხის ღვინის მიღება და მისი ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საღვინე ჭურჭელი. მარანი იარაღ-მანქანები კარგად იქნება მოგლილი და წესიერად შესრულდება ღვინის დაყენების ტექნოლოგიური წესები.

ქართული ღვინოების თავისებურება მოითხოვს მტკიცედ დაიცვათ ყურძნის კონდიციური მაჩვენებლები შაქრიანობა-მჟავიანობის მხრივ. არის შემთხვევები, როცა ირღვევა რთველის წარმოების წესები: ყურძნის კრეფის დროს არ ხდება დაავადებული, დაზიანებული და ნაკლებმოწიფებული მტევნის ამორჩევა, მოკრეფილი ყურძენი დიდხანს რჩება ვენახში, ირღვევა ყურძნის ტრანსპორტირების წესები, რთველი ხშირად მოკლე პერიოდში მთავრდება, რაც ძლება ტკბილი იდეალურად დავადუღოთ, თუ საფუვრის დუღილის პროცესში მუდმივ მოძრაობაში მივიყვანთ. იგი უნდა წარგმართოთ ნელა, თანაზომიერად, მაგრამ საიმედოდ დიდ ჭურჭელში. მაქრის დაწლის შედეგად სითბოს გამოყოფის ხარჯზე მაღალი ტემპერატურის წარმოშობა და დუღილი მძაფრად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში უნდა დავკმაყოფილდეთ ჟანგბადის მცირე დოზის მიწოდებით.

ჩვენში წითელი ღვინის დაყენების საქმეს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. მისი ღირსება მის ფერზე, სხეულსა და გემოვნების თვისებებზეა დამოკიდებული, რომელთა შესაბამისობა ძირითადია წითელი ღვინის ხარისხისათვის. წითელი ღვინის დაყენებისას მთავარია გადამუშავებისას შემოუსვლელი კნატრტრ დურდოში არ მოხვდეს, რადგან ამის შედეგად ღვინო არასასიამოვნო მკვახე გემოს შეიძენს. მომეტებული სხეული წითელ ღვინოში საშიში არ არის რადგან დავარგების დროს იგი თანდათან მცირდება და ბოლოს ღვინო რბილდება, მეორე მხრივ გუნდილოვან ნივთიერებათა სიჭარბე ხელს უწყობს ფერის შენარჩუნებას.

ქვევრში ან ხის კოდებში წითელი ღვინის დუღილის დროს ამოტივტივებული ჭაჭა ჰაერის შეხების გამო რომ არ დაჭანგდეს, ამისათვის იგი სპეციალური ჩასახელოთ ყოველ 2-3 საათში ერთხელ უნდა ჩაიხლოს. დარეკა ერთი მხრივ იცავს ღვინოს დაძმარებისაგან, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს იმას, რომ ღვინომ მეტი ოდენობით შეიძინოს საღებავი და ექსტრაქტული ნივთიერებანი. ეს მეტად საჭირო ოპერაციაა, თუმცა საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ ღვინის მაღალი ღირსებისათვის აუცილებელია. ყოველად დაუშვებელია დადუღების დამთავრების შემდეგ წითელი ღვინის დიდი ხნით ჭაჭაზე დატოვება, რადგან ღვინო ძლიერ მდიდრდება გუნდილოვანი ნივთიერებებით, რომელიც ზედმეტ სიმწკლარტეს აძლევს ღვინოს.

ქართული ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ღვინის დაყენების ტექნოლოგიური წესების ზუსტად გათვალისწინებულ გადებში განხორციელება.

ღვინის დაყენება ხელოვნებაა. უნდა დავეუფლოთ მას და მთელი წლის შრომის შედეგად მიღებული ყურძენი ჩინებულ ღვინოდ ვაქციოთ.

პროფესორი
გ. ბერიძე.

თეორიის საკითხები

თანამედროვე რევიზიონიზმის თეორია და პრაქტიკა

ამჟამინდელ სოციალისტური თანამეგობრობის ისტორიული განვითარების გამოცდილება, იმპერიალისტური რეაქციის ძალების წინააღმდეგ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ბრძოლის გამოცდილება მუდამ მოგვაგონებს, რომ აუცილებლად საჭიროა მტკიცედ ერთგულნი ვიყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა.

ერთ-ერთი ასეთი ძირითადი პრინციპია იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის განუყრელი კავშირი ოპორტუნიზმის ყველა ნაირსახეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა: „ამ მხრივ ყველაზე საშიში არიან ის ადამიანები, რომლებსაც არ სურთ გაიგონ, რომ იმპერიალიზმთან ბრძოლა, თუ იგი განუყრელად არ არის დაკავშირებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, არის ცარიელი და ყალბი ფრაზა" ამხილებდა რა ოპორტუნიზმის, როგორც მთელ რიგ საკითხებში სპეციფიკურ ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლის, კლასობრივ არსს, ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ისეთი კონკრეტული ნაირსახეობის წინააღმდეგ, როგორიც რევიზიონიზმია, რომელიც წარმოადგენს ოპორტუნისტურ, მარქსიზმსა და მტრულ მიმდინარეობას, მარქსიზმის ალმით გამმავალს კომუნისტური მოძრაობის შიგნით. მარქსიზმის „შემოქმედებითი განვითარების" საბაბით რევიზიონიზმი იწყებს რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ძირეული, ცხოვრებით შემოწმებული დებულებების რევიზიას, ე. ი. გადასინჯვას.

თავის ნაშრომში „მარქსიზმი და რევიზიონიზმი" ლენინმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამხილა რევიზიონიზმის კლასობრივი ზეჩილბურჟუაზიული ფესვებიც, კომუნისტურ მოძრაობაზე ბურჟუაზიის გავლენის გამტარებლის მისი სოციალური ფუნქციაც, მისი იდეური შინაარსიც, მისი ორი ძირითადი ფორმაც — რევიზიონიზმი მარჯვნიდან და რევიზიონიზმი „მარცხნიდან", ან როგორც იგი უფრო გვიან წერდა სხვა ნაშრომში, ეს „ზეჩილბურჟუაზიული რეფორმიზმი" და „ზეჩილბურჟუაზიული რევოლუციონერიზმი, სიტყვით მრისხანე, გაბერილი, ყოყლოჩინა, ხოლო საქმით ქაროშუტული დაქსაქსულობა..."

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ სამოცი წლის წინათ გამოთქვა ღრმა წინასწარხედვა, რომ მომავალში გარდუვალი იქნება რევიზიონიზმის წინააღმდეგ კომუნისტების ბრძოლის მასშტაბების გაფართოება: „ის, რასაც სმირად ხხოლოდ იდეურად განვიცდიდით: დავა მარქსის თეორიულ შესწორებებთან, — წერდა ლენინი, — ის, რაც ახლა პრაქტიკულად თავს იჩენს მუშათა მოძრაობის ხხოლოდ ცალკეული კერძო საკითხების გამო, როგორიცაა ტაქტიკური უთანხმოებანი რევიზიონისტებთან და განხეთქილება ამ ნიადაგზე, — უმეტესად კიდევ უნდა განიცადოს მუშათა კლასმა შეუდარებლად უფრო დიდი მასშტაბით, როცა პროლეტარული რევოლუცია გაამწვავებს ყველა სადავო საკითხს, თავს მოუყრის ყველა უთანხმოებას იმ პუნქტებზე, რომლებსაც მეტად უშუალო მნიშვნელობა აქვთ მასების მოქმედების განსაზღვრისათვის...

მართლაც, სოციალისტური რევოლუციის განვითარება და მისი ხელუელი წარმატებანი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების სწრაფი ზრდა გარდუვალად იწვევს იმას, რომ კომუნისტების რიგებს უერთდება შევსება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გამოცდილი, საკმაოდ მომწიფებული და საკმაოდ ნაცადი კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში. სწორედ ამ შევსების რიგებში ჩნდება თავიანი კლასობრივი საწყისებით ის წვრილბურჟუაზიული შერყეობანი, რომლებიც იღებენ სხვადასხვა რევიზიონისტულ, ბურჟუაზიული გავლენის ამსახველ მიმდინარეობათა ფორმას.

როგორც აღნიშნული იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის იანვლის სარეფერენციო თათბირზე, მემარჯვენე ოპორტუნიზმი ნიშნავს ლიკვიდატორულ პოზიციებზე დაშვებას, სოციალ-დემოკრატიზმთან შემთანხმებლობას პოლიტიკასა და იდეოლოგიაში. სოციალისტურ ქვეყნებში მემარჯვენე ოპორტუნიზმი მიდის მარქ

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ჰანოი, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ხო ში მინის გარდაცვალების შემდეგ 3 სექტემბერს გაბიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენარული სხდომა.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი ამხანაგ ხო ში მინის სახელმწიფო დაკრძალვის მოწყობის შესახებ, აგრეთვე მიმართვა პარტიის ყველა ხელმძღვანელი და რიგითი წევრისადმი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მეთაური და რიგითი შემადგენლობისა და მთელი ხალხისადმი.

ნაშუადღევს, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, გაიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა.

ცნობა ამხანაგ ხო ში მინის გარდაცვალების შესახებ სხდომაზე წაიკითხა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა. სხდომამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს სპეციალური კომუნიკე ამხანაგ ხო ში მინის გარდაცვალების შესახებ, აგრეთვე შექმნას დაკრძალვის მომწყობი სახელმწიფო კომისია.

ეროვნული გლოვა ვიეტნამში

ჰანოი, 4 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. აფონინი გვატყობინებს:

ცნობამ, რომ გარდაიცვალა ამხანაგი ხო ში მინი, ვიეტნამელი ხალხის უდიდესი ვლოგა და გულისტკივილი გამოიწვია. კოკისპირული წვიმის მიუხედავად რეპროდუქტორებთან დგანან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა დიდი ჯგუფები. „ამხანაგ ხო ში მინის გარდაცვალება — ადელვებული ბმით ამბობს დიქტორი, — უმძიმესი დანაკლისია ჩვენი პარტიისა და ხალხისათვის".

ჰანოიში ყველგან გამოკიდებულია შავარშიაშემოვლებული სახელმწიფო ალმები. ყველა ვიეტნამელს მკერდზე აქვს სამგლოვიარო ლენტი. გაუქმდა ყველა კულტურული და სპორტული ღონისძიება. რადიო გადასცემს სამგლოვიარო მელოდიებს.

ქალაქის ყველა საყვავილეში ამზადებენ გვირგვინებსა და თაიგულებს. ამ ყვავილებით ხვალ სხვადასხვა ორგანიზაციების დელეგაციები, ჰანოის მცხოვრებნი წავლენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების შენობაში, სადაც ხუთი დღის მანძილზე გამოეთხოვებიან ამხანაგ ხო ში მინს.

უცხოეთის საელჩოთა შენობებში ხო ში მინის ხსოვნის პატივსაცემად დაშვებულია შავარშიაშემოვლებული სახელმწიფო ალმები. სპეციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ხო ში მინი იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მებაირაღე. მებრძოლი მტკიცე, გამოჩენილი მებრძოლი ამ მსოფლიოს იმ ქვეყნების ახლო მეგობარი, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

დაბრუნებული მახვილის ტბასთან, ისევე როგორც 2 სექტემბერს, როცა ვიეტნამელი ხალხი აღნიშნავდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 24 წლისთავს, გაკრული ადგილ ბანო, რომელზეც წარწერილია სიტყვები დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან. ეს დეკლარაცია ამხანაგმა ხო ში მინმა გამოაცხადა 1945 წელს.

„ვიეტნამს უფლება აქვს იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, და მართლაც გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი. ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაიშუროს თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები, სიცოცხლე და ქონება შეხეწროს იმას, რომ დაიცვას თავისუფალი და დამოუკიდებელი".

საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე მოახმარა ამხანაგმა ხو ში მინმა, არ შეწყდება მისი გარდაცვალების შემდეგ... ამბობენ დღეს ვიეტნამელები, ადამიანები, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლაში გამოიწვრთნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ხო ში მინის ხელმძღვანელობით, ადამიანები, რომლებმაც თავიანთი გმირობა და სიმტკიცე ცხადყვეს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და რომლებიც ვეჟაცურად შეხვდნენ ამ მწუხარებას.

ხო ში მინის რევოლუციური საქმე, ხაზგასმულია სპეციალურ კომუნიკეში ამხანაგ ხო ში მინის გარდაცვალების შესახებ, უეჭველად გაგრძელდება და გაიმარჯვებს.

□

ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲥᲐᲜᲘᲚᲘᲐ

ᲑᲐᲠᲘᲖᲘ, 4 სექტემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ პარიზის ბრეზიდენტის ხო ში მინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წინადადება მისცა თათბირის მუშაობაში მონაწილე სხვა დელეგაციებს 33-ე პლენარული სხდომა დღევანდელი დღიდან გადაიტანონ 11 სექტემბრისათვის.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაცია თავის განცხადებაში დათანხმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადების სხდომის გადატანის შესახებ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური სუან თხიუი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი დღეს პარიზიდან ჰანოიში გაფრინდებიან, სადაც დაესწრებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის დაკრძალვას.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა პროფკავშირების ცენტრალური, ჩეხიისა და სლოვაკიის საბჭოების იმ ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების საკითხი, რომლებიც ხხარს უჭერენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მეცადინეობას ქვეყანაში სოციალისტური ფორმის შესახებ ზეწოლა იმის მიხედვით, თუ როგორია კონკრეტულ-ისტორიული პირობები. სოციალიზმის მშენებლობა შესაძლებელია როგორც ერთპარტიული, ისე მრავალპარტიული სისტემის დროს. მაგრამ მრავალპარტიული სისტემა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნებში, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ სისტემაში ეროვნულ-ეროვნული ხელმძღვანელი როლი, თუ ყველა პარტია ადგას სოციალიზმის პოზიციებს, თუ ყველა პარტია მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს.

მაგრამ ასეთი სისტემა ხელს არ აძლევს რევიზიონისტებს. მემარჯვენე მიდინარეობის რევიზიონისტები როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში ფაქტურად გამოდიან სოციალისტური დემოკრატიის წინააღმდეგ, ცდილობენ მის მაგიერ შემოგვაპარონ ყბადაღებული „დემოკრატიული სოციალიზმი", რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიული დემოკრატიის ალოლოგიას.

რაც შეეხება რევიზიონისტებს „მარცხნიდან" მათი ის ნაირსახეობა, რომელიც ჩინეთში არსებობს, გადაგვარდა ნაციონალისტურ, დიდმპყრობელურ-შოვინისტურ და ანტისაბჭოთა ჯგუფად. ეს ჯგუფი აშკარად ფეხქვეშ თელავს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საყოველთაო კანონზომიერებებს. თეორიული მხრივ ასეთ პოლიტიკას საფუძვლად უდევს უკიდურესი სუბიექტივიზმი, იმის სურვილის ქმნილობა, რომ ანგარიში გაეწიოს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს. პრაქტიკაში ეს კურსი მოასწავებს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მეთოდების სამინლად განვითარებას, დემოკრატიული ინსტიტუტების მეწოლდვასა და ფორმალიზაციას, ცხოვრების ყველა დარგის გასამეფდრიებას, იძულების ორგანოების მეტისმეტად გადიდებას. თვით ცნება „პროლეტარიატის დიქტატურის" მაო ძე-დუნის მიერ განმარტებაში მისი მთავარი და ერთადერთი ფუნქციაა ჩახშობის და არა აღმშენებლობის ფუნქცია.

ამგვარ შეხედულებებსა და პრაქტიკას საერთო არა აქვს რა პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური დემოკრატიის ლენინურ თეორიასთან, იმ შემოწმებულ კურსთან, რომ სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძველი ფართოვდებოდეს სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების კვალობაზე.

რევიზიონიზმის ორივე ნაირსახეობა, მიუხედავად მთელი გარეგნული განსხვავებისა, თავიი პოლიტიკის მასხელ მიმართავს მუშათა კლასის პარტიის წინააღმდეგ, პარტიაზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე, მის ორგანიზაციულ საფუძველზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ.

ჩინეთში, სადაც მაოიზმი კომუნისტური მოძრაობის შიგნით ცრუმეამრცხენე გადახრიდან გადაიქცა მიმდინარეობად, რომელიც აშკარად მტრულია მეცნიერული სოციალიზმისადმი და ბაყაფრიულ ბრძოლას აწარმოებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ „მემარცხენე" ფრაზების საფარქვეშ, არსებითად ხორციელდება კომპარტიის ლიკვიდაცია. მაოს ჯგუფის მიერ პარტიული ორგანოების განადგურება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთში მრავალი წლის მანძილზე ფეხქვეშ თელავდნენ პარტიული მშენებლობის პრინციპებს, უგულებელყოფდნენ ხელმძღვანელობის კოლეგიურობას, ანადგურებდნენ გამოცდილ პარტიულ კადრებს, ხოლო ასეთი პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი გახდა ფანატიკური სულისკვეთებით დამუშავებული უმეცარი და უმწიფარი ახალგაზრდობა. ჩინეთის კომპარტიის ახალმა წევრებმა, რომელიც IX ყრილობამ მიიღო, მთლიანად წაშალა ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამული დებულებანი და პრინციპული გადაწყვეტილებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, არსებითად უარყო დემოკრატიული ცენტრალიზმის, შინაპარტიული დემოკრატიის, კოლექტიური ხელმძღვანელობის, პარტიის ყველა ორგანოს თავიდან ბოლომდე არჩევითობის პრინციპები. პარტიაში მიღებასაც კი ჩინეთში აშკიმად პარტიული ორგანიზაციები კი არ ეწევიან, არამედ უკანონოდ შექმნილი „რეკომენდაციები"...

საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაში მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელ როლს მთლიანად უარყოფენ მემარჯვენეოპორტუნისტი რევიზიონისტებიც.

თანამედროვე რევიზიონიზმის ის ცდები, რომ შეწყდეს ან მოსპოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალიზმის მშენებლობაში, დიდად აძლევს ხელს იმპერიალისტებს. ეს ცდები სავსებით შეესაბამება იმ მითითებებს, რომლებსაც ანტისოციალისტური ძალები იღებენ ანტიკომუნისტიზმის იდეოლოგებისაგან, და მათ მხრივ მოწონებას პოულობს: „რევიზიონისტები... მივიდნენ მონოლითური პარტიის ლენინური თეორიიდან უარყოფამდე", — წერს, მაგალითად, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. როტშილდი. მას ბანს აძლევს პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ა. რუბინშტეინი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ყველაზე რადიკალური რევიზიონისტები" იმასაც კი „ითვალისწინებენ, რომ შესაძლებელია მუშათა კლასის განთავისუფლება კაპიტალიზმის პირობებში და კაპიტალიზმის და სოციალიზმის თანდათან დაახლოების პირობებში".

ის ფაქტი, რომ სოციალიზმის მშენებლობა ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ხაბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, ჰოლანდიის, შვეიცის, ავსტრიის 550-ზე მეტი ხალოფელი-საშეურნეო საწარმოო, ორგანიზაცია და ფირმა.

ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

ნიუ-იორკისაკენ მიმავალ გზაზე მთელი სისწრაფით მიმქროლავმა მანქანამ მიმართულება იცვალა და ბეტონის კედელს დაეჯახა. ერთმა მგზავრმა როგორლაც მოახერხა მანქანიდან გამოძვრომა, მეორე კი შიგნით დარჩა. ახლო-მახლო მყოფნი, რომელნიც მოწმე იყვნენ ამ შემთხვევისა, აყოვნებდნენ დახმარების აღმოჩენას. ავტომანქანაში დარჩენილი მგზავრი, რომლის გადარჩენაც შეიძლებოდა, დაიღუპა.

თვით ავარიის ფაქტი არცთუ იშვიათია. ყოველ წელს ამერიკის შეერთებული შტატების ავტომაგისტრალებზე იღუპება ათეული ათასობით კაცი. მაგრამ ხშირად ადამიანის დაღუპვის მიზეზი ხდება გულგრილობა და არაადამიანობა.

ფოტო ეურნალ „ᲙᲕᲘᲙᲘᲓᲐᲜ".

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნის საბჭოს ოფიციალურ ორგანოს, „ნეუეს დეუტშლანდ" იუწყება, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ცნო ლიბიის არაბთა რესპუბლიკა.

ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘ ᲠᲔᲘᲓᲘ

დამასკო, 3 სექტემბერი. (საკდესი). არაბი პარტიზანები ყვლავ უტევენ ისრაელ ოკუპანტებს. როგორც ბაზეთი „ალ-ბაასი" წერს, „ალ-ისიფის" რაზმების მებრძოლები 1 სექტემბერს გაბედულად დაესხნენ თავს ისრაელთა სამხედრო ბანაკს ჯოლანის სიმაღლეებზე, არ-რაფიდის დასახლებული პუნქტის ჩრდილოეთ-დასავლეთით. მათ ხელი იგდეს ბანაკი და ეკავათ იგი ორი საათის განმავლობაში. ისრაელებს მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ

ბეირუთი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ლიბანის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, ისრაელის თვითმფრინავები დღეს ორჯერ შეიჭრნენ ლიბანის საჰაერო სივრცეში და ცეცხლი დაუშინეს არკუბის რაიონის დასახლებულ პუნქტებს 75 კილომეტრზე ბეირუთის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სოფლების კიფერ შუბის, რეშაია ელ-ფუჰარის, კიფერ ჰამამლისა და ალ-ჰაბარის მცხოვრებლებს ორმოცი წუთის განმავლობაში გააფთრებით უშენდნენ ცეცხლს აგრესორები.

ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის სახელმწიფო მინისტრმა მიშელ დებრემ საფრანგეთის ეროვნული კრების თავდაცვის საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ საფრანგეთი არ აპირებს თავისი სამხედრო პოლიტიკის საერთო ორიენტაციისა და თავისი სტრატეგიის შეცვლას.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ვარშავა, 3 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მ. სპიხალსკის მოწვევით 1-3 სექტემბერს პოლონეთში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა. ლ. სვობოდასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მ. სპიხალსკის მოლაპარაკების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნთან ვ. გომულკასთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ი. ცირანკევიჩთან მიმი მუშვდრების დროს მოხდა აზრთა ყოველმხრივი ნაყოფიერი ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. აღინიშნა, რომ ახლა, განსაკუთრებით იმ რეალური საფრთხის ნიშნით, რომელსაც ქმნის დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინება, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მჭიდრო თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი უშიშროებისათვის, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისა და ორივე სახელმწიფოს შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის.

პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობა გამოხატავს ორივე ქვეყნის ხალხების ურღვევ ძმობას, ხაზგასმულია კომუნიკეში ლ. სვობოდას ვიზიტის შესახებ, რომელიც პოლონეთის პრესის საავტორმა გადასცა. ეს თანამშრომლობა ჯამმდინარეობს ისტორიული გამოცდილებიდან და აქტიური მოთხოვნილებებიდან, ხელს უწყობს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ტრადიციული მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცებას. ეყრდნობიან რა მჭიდრო ურთიერთობასა და მტკიცე კავშირს სსრ კავშირთან, ვარშავის ხელშეკრულებას და სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობას, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების საქმეში. ამ მიზნის მიღწევისათვის ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ იდეების განსორციელებას, რომლებიც წამოყენებულია ბუდაპეშტის მიმართვაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

ამ იდეების სწრაფი განხორციელება, ხაზგასმულია კომუნიკეში, შექმნის ევროპის კონტინენტზე კოლექტიური უშიშროების მომავალი სისტემის საფუძველს.

მოლაპარაკებამ, რომელიც ძმური მეგობრობისა და გულთაფდობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ცხადყო, რომ მხარეებს ერთნაირი შეხედულება აქვთ ყველა განხილულ საკითხზე. მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიისათვის, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნებისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ერთიანობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

მოლაპარაკების დროს ერთსულოვნად აღინიშნა, ნათქვამია კომუნიკეში, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლით, საერთო მიზნებითა და ინტერესებით შეერთებული ინტერნაციონალისტური და თანამშრომლობის ურთიერთობა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მტკიცე მონაპოვარია ამავე დროს აღინიშნა, რომ საჭიროა შემდგომი აქტიური მოქმედება, რათა უფრო განმტკიცდეს და სისტემატურად ფართოვდებოდეს ყოველმხრივი ურთიერთობა, რომელიც აერთიანებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას.

პოლონეთში მოგზაურობის დროს ლ. სვობოდას ახლდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი მ. ძური და საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ვ. პლუსკატი. პოლონეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ენდრიხოვსკი და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჯავშნის გენერალი ვ. იარუზელსკი.

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

პარიზი, 3 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი გვატყობინებს:

დღეს მთავრობამ მოუწოდა ფრანგებს უფრო მაგრად შემოიჭიმონ ქამარი და შეამცირონ თავიანთი პირადი მოხმარება, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიური სიძნელეების აღმოფხვრას. გადაწყვეტილება, განახორციელონ მკაცრი ეკონომიის კურსი, მიიღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა ელისეს სასახლეში პრეზიდენტ ჟ. პომპიდოუს თავმჯდომარეობით.

მინისტრებმა აღნიშნეს, რომ აგვისტოში გამოცხადებული ფრანკის დევალვაციის არ მოუყოლია ავტომატურად მდგომარეობის გაუმჯობესება ეკონომიკისა და ფინანსების დარგში და გამოიტანეს დასკვნა, რომ საჭიროა განახორციელონ მთელი რიგი სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასების მოხმარების შემცირებას, ბანკებში ანაბრების გადიდებას და სახელგარგარეთ ფრანგული სესხების ექსპორტის განვითარებას.

მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა მოსაწონებლად 16 სექტემბერს მოიწვევენ პარლამენტის საგანგებო სესიას.

მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიებმა და პროფკავშირებმა მთავრობის გადაწყვეტილებანი მიიჩნიეს ცდად მშრომელებს დააკისრონ იმ სიძნელეების აღმოფხვრის მთელი სიმძიმე, რასაც საფრანგეთი განიცდის.

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინადადებაა, — წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ლუმანიტე", — მოახდინონ ყველაზე მძლავრი მონოპოლიების ნაციონალიზაცია, შეიმუშაონ და აამოქმედონ ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმა და განახორციელონ საგადასახადო სისტემის რეფორმა, ამასთან გაადიდონ წილი, რომელსაც იხდიან კაპიტალისტური კომპანიები და მოსახლეობის პრივილეგიური ფენები, შეამცირონ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც მძიმე. ტვირთად აწევს მუშებსა და წვრილ მეწარმეებს".

პროფკავშირულ წრეებში აღნიშნავენ, რომ შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეზე უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოიწვევს ახალ გაფიცვებს მთელ საფრანგეთში.

□

ᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

აკრა, 3 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პროგრესის პარტიის ლიდერმა კოფი ბუსიამ დადო ფიცი როგორც განის პრემიერ-მინისტრმა. 29 აგვისტოს განაში გამართული პარლამენტის არჩევნების შედეგად პროგრესის პარტიამ მიიღო ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნულ კრებაში, რომლის შემადგენლობაში შედის 140 დეპუტატი.

1966 წლის თებერვლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განაში ხელისუფლების სათავეში ჩაუდგა სამხედრო პირთა მიერ ჩამოყალიბებული განთავისუფლების ეროვნული საბჭო. ახლახან მიღებული განის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის არჩევნების შემდეგ განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ ძალაუფლება უნდა გადასცეს სამოქალაქო მთავრობას. მაგრამ, განის კონსტიტუციური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციებს შეასრულებს პრეზიდენტის საბჭო,

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკდესი). აგვისტოში კვლავ შემცირდა ინფლიციის ოქროსა და შექცევადი ვალუტის მარაგი.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მარაგი 25 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემცირდა ივლისთან შედარებით და შეადგინა 1.007 მილიონი გირვანქა. ეს ყველაზე დაბალი დონეა გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შემდეგ, რაც 1967 წლის ნოემბერში მოხდა.

● ლიმა, 4 სექტემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა ლათინური ამერიკის პროფკავშირული კონფერენცია პერუს ნავთობის ნაციონალიზაციის მხარდაჭერისა და კონტინენტის ხალხებისათვის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაბრუნების საკითხებზე: კონფერენციაში მონაწილეობდნენ 10 ქვეყანა და 28 სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია.

● ტოკიო, 4 სექტემბერი. (საკდესი). ტოკიოს პოლიციის სამმართველომ გადაწყვიტა შექმნას პოლიციის ძალების სპეციალური ოპერატიული ჯგუფი დემონსტრაციების ჩასახშობად, რომლებსაც დემოკრატიული ორგანიზაციები აწყობენ იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების ვადაქმების შესახებ მოთხოვნის მხარდასაჭერად.

● კაირო, 4 სექტემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, საუდის არაბეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური ნურრედინ ატასი, სუდანის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჯაფარ ნიმეირი, იორდანიის მეფე ჰუსეინი და ერაყის პრემიერ-მინისტრის მოადგილე გენერალი ამაში.

ხუთი არაბული სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თათბირის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელიც მოუწოდებს არაბული ქვეყნების ღონისძიებათა გაერთიანებისათვის, რათა აღმოფხვრან ისრაელის აგრესიის შედეგები.

ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

პარიზი, 3 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი გვატყობინებს:

დღეს მთავრობამ მოუწოდა ფრანგებს უფრო მაგრად შემოიჭიმონ ქამარი და შეამცირონ თავიანთი პირადი მოხმარება, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიური სიძნელეების აღმოფხვრას. გადაწყვეტილება, განახორციელონ მკაცრი ეკონომიის კურსი, მიიღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა ელისეს სასახლეში პრეზიდენტ ჟ. პომპიდოუს თავმჯდომარეობით.

მინისტრებმა აღნიშნეს, რომ აგვისტოში გამოცხადებულ ფრანკის დევალვაციას არ მოუყოლია ავტომატურად მდგომარეობის გაუმჯობესება ეკონომიკისა და ფინანსების დარგში და გამოიტანეს დასკვნა, რომ საჭიროა განახორციელონ მთელი რიგი სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასების მოხმარების შემცირებას, ბანკებში ანაბრების გადიდებას და სახელგარგარეთ ფრანგული სესხების ექსპორტის განვითარებას.

მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა მოსაწონებლად 16 სექტემბერს მოიწვევენ პარლამენტის საგანგებო სესიას.

მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიებმა და პროფკავშირებმა მთავრობის გადაწყვეტილებანი მიიჩნიეს ცდად მშრომელებს დააკისრონ იმ სიძნელეების აღმოფხვრის მთელი სიმძიმე, რასაც საფრანგეთი განიცდის.

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინადადებაა, — წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ლუმანიტე", — მოახდინონ ყველაზე მძლავრი მონოპოლიების ნაციონალიზაცია, შეიმუშაონ და აამოქმედონ ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმა და განახორციელონ საგადასახადო სისტემის რეფორმა, ამასთან გაადიდონ წილი, რომელსაც იხდიან კაპიტალისტური კომპანიები და მოსახლეობის პრივილეგიური ფენები, შეამცირონ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც მძიმე. ტვირთად აწევს მუშებსა და წვრილ მეწარმეებს".

პროფკავშირულ წრეებში აღნიშნავენ, რომ შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეზე უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოიწვევს ახალ გაფიცვებს მთელ საფრანგეთში.

□

ᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

აკრა, 3 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პროგრესის პარტიის ლიდერმა კოფი ბუსიამ დადო ფიცი როგორც განის პრემიერ-მინისტრმა. 29 აგვისტოს განაში გამართული პარლამენტის არჩევნების შედეგად პროგრესის პარტიამ მიიღო ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნულ კრებაში, რომლის შემადგენლობაში შედის 140 დეპუტატი.

1966 წლის თებერვლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განაში ხელისუფლების სათავეში ჩაუდგა სამხედრო პირთა მიერ ჩამოყალიბებული განთავისუფლების ეროვნული საბჭო. ახლახან მიღებული განის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის არჩევნების შემდეგ განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ ძალაუფლება უნდა გადასცეს სამოქალაქო მთავრობას. მაგრამ, განის კონსტიტუციური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციებს შეასრულებს პრეზიდენტის საბჭო,

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ

კაირო, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც აქ მიღებული ცნობებიდან ჩანს, თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება ცხოვრება ტრიპოლში, ბენგაზსა და ლიბიის სხვა ქალაქებში. რევოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებით გუშინ შეამცირეს კომენდანტის საათი. ტრიპოლში გაიმართა დემონსტრაციები რესპუბლიკის მხარდასაჭერად.

ტრიპოლის რადიო თავის გადაცემებში იუწყება, რომ რევოლუციური საბჭო იღებს დეპეშებსა და წერილებს, რომლებშიც გამოთქმულია მოწონება და სოლიდარობა. თავისი საქმიანობა განაახლა ლიბიის საინფორმაციო სააგენტომ. მაგრამ აეროდრომები ჯერ ნავსადგურები კვლავ დახურულია.

ტრიპოლის რადიომ გამოაცხადა, რომ დაპატიმრებულია ძველი რეჟიმის რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწ

გრიბოედოველები გვეპირდებიან

ТЕАТР ИМЕНИ А.С. ГРИБОЕДОВА

ახალი სეზონი, ახალი ამოცანები

დღეს, 5 სექტემბერს თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ახალ სეზონს ხსნის. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა თეატრის მთავარი რეჟისორი, რსსუ-ს ხალხთა არტისტი სერგო ჭელიძე.

ქვემოთ ვბეჭდავთ მის ნაამბობს:

— გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სეზონის გახსნის საპატიო მისია ნიკოლაი ხვდა სპექტაკლს, რომელიც შარშან წარმატებით იდგმებოდა. ეს არის გ. მდივნის „შენი ძია მიშა“.

გრიბოედოველთა ახალ თეატრალურ სეზონს წინ უძღოდა გასტროლები. დასმა ახლახან, აგვისტოს მეორე ნახევარში, იმოგზაურა ქუთაისსა და ბათუმში, გამოდიოდა ტყიბულში, სამტრედიასა და ცხაკაიაში. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო ს. ალიოშინის „სხვა ქალი“, ლ. ზორინის „ვარშავის მელოდია“, მ. ბაიჯიევის „დუელი“, დ. უგრიუმოვის „ზარი ცარიელ ბინაში“, ა. მიროდანის „სახელგანთქმული 702“.

ახალი სეზონისათვის თეატრმა მზადება გასტროლებზეც დაიწყო. ამის შედეგად სულ მოკლე ხანში მაყურებელს საშუალება ექნება დაესწროს პრემიერას — ვ. რანდის „ერიმინალური ტანგოს“. ეს არის სატირული პიესა, რომელიც თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის თემას ეძღვნება.

წლევანდელი წელი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილესთვის მზადების წელია. თეატრში ამ მხრივ შემუშავებულია დადგმების მთელი ციკლი. მთელი რიგი პიესები გასულ სეზონებში მომზადდა. ამასთან ერთად დაიდგმება ახალი სპექტაკლებიც. მაყურებელი ნახავს — ვ. ეფროვის „ბულბულის დამეს“, გ. მდივნის „შენს ძია მიშას“. იანვრამდე წარმოდგენილი იქნება ძმები ტურების პიესა „საჯანგებო ელჩი“. სპექტაკლში ნაჩვენებია ლენინის თანამებრძოლზე, პირველ დიპლომატ ქალზე ალ. კოლონტაიზე, რომელიც შვეიცარიაში მოღვაწეობდა.

თბილისში ჯერ არ დადგმულა მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“. ჩვენი ქალაქის თეატრის მოყვარულებს „რევოლუციის პოეტის“ ეს ნაწარმოები შეუძლიათ ნახონ გრიბოედოვის თეატრის სცენაზე. სპექტაკლს დადგამს რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მოსკოველი რეჟისორი პ. ვასილიევი. პრემიერათა სიაში შეიტანებთ აგრეთვე ბ. შოუს მშვენიერ პიესა „პიგმალიონს“.

შარშანდელი აფიშიდან წლევანდელში გადმოინაცვლებენ საუკეთესო სპექტაკლები — ჯ. პატრიკის „უცნაური მისის სეჯეჯი“ და ტ. უილიამსის „ტრამვაი-სურვილი“.

სცენაზე კვლავ ვიხილავთ გამოცდილ, აღიარებულ ოსტატებს — რსსუ-ს ხალხთა არტისტებს ნ. ბურმისტროვას, თ. ბელოუსოვას, მ. პიასეცკის, დ. სლავინს, რსსუ-ს დამსახურებულ არტისტებს ე. კილოსანიძეს, ნ. სეფრანსკაიას, ი. ზლობინს.

თეატრი ახალი შემოქმედებითი ძალებით შეივსო. წელს გრიბოედოველთა დასში პირველად შეხვდებით რსფსრ დამსახურებულ არტისტს ე. ბიკოვსკის, მსახიობებს ვლ. ილინს, ა. დახნენკოს, მოსკოვის შჩუკინის სახელობის თეატრალური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ა. პერმსს, ვლ. კოსტიღლეევს.

სპექტაკლებში კვლავ მრავლად მიიღებენ მონაწილეობას თეატრის ახალგაზრდა მსახიობები.

წლევანდელი თეატრალური სეზონი, ვფიქრობთ, მაყურებლისათვის საინტერესო და მიმზიდველი იქნება.



ინტერესით ეცნობიან

თბილისში, საქართველოს სსრ ეახალხო მეურნეობის მიღწევათა. გამოფენის ტერიტორიაზე გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონტროლო მანქანებისა და ხელსაწყოების სპეციალიზებული გამოფენა. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ელექტრონული გამომთვლელი ავტომატები, ელექტრო, სტანდარტული, პორტატული საბეჭდი მანქანები, ჩამწერი ავტომატები და სხვ.

მრავალი თბილისელი ეწვია გამოფენას. გამოცდილი სპეციალისტები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან პასუხს აძლევენ მნახველებს მრავალ შეკითხვაზე, უწევენ კონსულტაციას...

• • •

სურათზე: მნახველები თვალიერებენ გამოფენის ექსპონატებს.

ფოტო ვ. მორგუნოვისა (საქმესის ფოტოქრონიკა).

ფიზიკოსთა დიდი ფორუმი

5-6 სექტემბერს თბილისში გაიმართება წამყვან მეცნიერთა საერთაშორისო სემინარი მაღალი ენერგიების ფიზიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

სემინარი მოაწყვეს ატომგულის კვლევის გაერთიანებულმა ინსტიტუტმა (დუბნა) და ევროპის ატომგულის კვლევის ორგანიზაციამ (ჟენევა).

სემინარში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. სემინარის მონაწილეთა შორის იქნებიან გამოჩენილი მეცნიერები, თვალსაჩინო სპეციალისტები ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის დარგში — უდიდესი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სამეცნიერო ხელმძღვანელები: ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ბოგოლიუბოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბრთვული ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი მ. მარკოვი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-პრეზიდენტი შ. ციცეიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის აკადემიკოსი მ. დანინი.

ევროპის ატომგულის კვლევის ორგანიზაციის წარმომადგენელნი იქნებიან მისი გენერალური დირექტორი პროფესორი ვ. გრეგორი, თვალსაჩინო იტალიელი მეცნიერი პროფესორი ე. ამალდი, გერმანიის ელექტრონული აჩქარებლების დირექტორი პროფესორი ვ. ენჰკე (ჰამბურგი), დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო-კვლევითი საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ბ. ფლაუერსი და თვალსაჩინო ფრანგი ფიზიკოსი პროფესორი რ. ლევი-მანდელი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომლებიც დამსწრეთ გააცნობენ ელემენტარული ნაწილაკების შესწავლის დარგში კვლევის პროგრამებს: ესენი იქნებიან ლოურენსის სახელობის ლაბორატორიის დირექტორი პროფესორი ე. მაკმილანი, მაღალი ენერგიის ფიზიკის დარგში ეროვნული პროგრამის კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პროფესორი ვ. ვაისკოპფი და სხვები.

საქმესის კორესპონდენტმა სთხოვა საერთაშორისო სემინარის სორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან მეცნიერს, რომელიც ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის დარგში მუშაობს, ატომგულის კვლევის (დუბნის) გაერთიანებულ ინსტიტუტში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალბერტ თავხელიძეს გამოეთქვა აზრი სემინარის მუშაობის შესახებ.

— საერთაშორისო სემინარზე განვიხილავთ, — თქვა მეცნიერმა, — ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განვითარების ტენდენციებსა და შემდგომ პერსპექტივებს და უდიდეს ექსპერიმენტულ მოწყობილობას მაღალი ენერგიების ფიზიკის შემდგომი პროგრესისათვის.

— ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო, — თქვა ა. თავხელიძემ, — რომ საქართველოს სსრ მთავრობა და ქართველი ფიზიკოსები გულითადად მოეკიდნენ და დახმარება გაუწიეს მეცნიერთა ესოდენ წარმომადგენლობითი ფორუმის მოწვევაში.. (საქმესის).

ექვთისფველოთა ახალი ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. ვ. რცხილაძე

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, სკკპ წევრი 1951 წლიდან ბიოლოგი (ბულო) ვასილის-ძე რცხილაძე.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის ცხოვრება განუყრელად იყო დაკავშირებული ქართული საბჭოთა სპორტის პირველ ნაბიჯებთან. მის განვითარებასა და აყვავებასთან. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც იყო არა მარტო განთქმული სპორტსმენი, არამედ აგრეთვე ნიჭიერი ორგანიზატორი, დაკვირვებული პედაგოგი.

გ. რცხილაძე დაიბადა 1909 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის ოცი წლის სტუდენტი გაიტაცა სპორტულმა ტანვარჯიშმა, რომელიც მთელი მისი ცხოვრების საქმე გახდა.

სამჯერ — 1932, 1933 და 1934 წლებში, გიორგი რცხილაძემ მოიპოვა მაღალი წოდება საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონისა ტანვარჯიშში. 1936 წელს გ. რცხილაძეს ერთ-ერთ პირველს ჩვენს ქვეყანაში მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება. ერთი წლის შემდეგ იგი წარმატებით გამოვიდა მუშათა ოლიმპიადის შეჯიბრებებზე ანტვერპენსა და პარიზში.

გ. რცხილაძის შრომითი საქმიანობა განუყრელად იყო დაკავშირებული მის საყვარელ საქმესთან — სპორტთან. მან გან